



N 3413/01
07/04/2022

3413-01-2-202204071026



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „ქისტოუნ აგროს“ მიერ წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორიაში, სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33922>). გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა უზრუნველყოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში **2022 წლის 13 აპრილის ჩათვლით**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge.

გიგზავნით, აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით. გთხოვთ, უზრუნველყოთ დოკუმენტაციის განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

